

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“
რექტორის 2018 წლის „09“ ივლისის N144 ბრძანების
დანართი

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის

**„საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების
შეფასების მექანიზმები“**

სარჩევი

სწავლის შედეგები	3
სწავლის შედეგების შეფასება	3
დაგეგმვის ფაზა	4
შეფასების ფაზა	5
გაუმჯობესების ფაზა	5
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა	6
შეფასების მეთოდები	6
წარმატების კრიტერიუმები/სამიზნე ნიშნულები	8

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები არის ცოდნა, უნარი და დამოკიდებულებები/ღირებულებები, რაც სტუდენტს გააჩნია სასწავლო კურსის, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგების ძირითადი მახასიათებელი არის მათი გაზომვადობა, რაც თავის მხრივ მოიცავს:

- ა) სწავლის პროცესზე დაკვირვებას და სტუდენტის მიღწევებისა და სუსტი მხარეების გამოვლენას;
- ბ) თითოეული სწავლის შედეგისთვის შეფასების სათანადო მეთოდების შერჩევას, რომლებიც ყველაზე კარგად და ცხადად გვიჩვენებენ სწავლის შედეგის მიღწევას;
- გ) სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასადგენად კონკრეტული სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას.

სწავლის შედეგები უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე კონკრეტული სასწავლო კურსების.


სასწავლო კურსის სწავლის შედეგებია ის რისი დემონსტრირებაც უნდა მოახდინოს სტუდენტმა სასწავლო კურსის მიმდინარეობის ან დასრულების შემდეგ, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი აღწევს პროგრამის დასასრულს.

პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამისად და რაოდენობა უნდა იყოს ოპტიმალური. პროგრამას უნდა ჰქონდეს როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგების შეფასება

შეფასება გვიჩვენებს რას და როგორ სწავლობენ სტუდენტები. ის მოიცავს სტუდენტის სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების სისტემურ შეგროვებას და განხილვას. შეფასება ეხმარება პროგრამის ხელმძღვანელსა და ლექტორებს გაიგონ რამდენად კარგად ითვისებენ სტუდენტები ცოდნას და გამოიმუშავენ შესაბამის უნარებს.

შეფასება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც თავის თავში აერთიანებს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, შეფასების გეგმის შედგენას და იმპლემენტაციას, მიღებული შედეგების გამოყენებას სტუდენტის სწავლის პროცესის, სწავლის შედეგების მიღწევის დონის და თავად სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.



შეფასება პასუხობს კითხვებს:


1. რას ვაკეთებთ?
2. როგორ ვაკეთებთ?
3. სწავლის რომელი შედეგები მიიღწევა დამაკმაყოფილებლად და რომლები საჭიროებენ გაუმჯობესებას?
4. როგორ შეგვიძლია მიღებული შედეგების გაუმჯობესება?

შეფასება გვაძლევს დოკუმენტირებულ მტკიცებულებას ჩვენი სტუდენტების სწავლის და მიღწევების შესახებ, როგორც სააკრედიტაციო, ასევე სხვა ტიპის საანგარიშო მიზნებისთვის. ის გვიჩვენებს შეესაბამება თუ არა ჩვენი პროგრამის და სტუდენტთა ხარისხი დამსაქმებლების, სტუდენტების, დონორებისა და თანამშრომლების მოლოდინებს.

შეფასება არ არის მხოლოდ ადმინისტრაციის ან კონკრეტულად რომელიმე ლექტორის პასუხისმგებლობა, ეს არის ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით განხორციელებული პროცესი და შესაბამისად მათ შორის გაზიარებული პასუხისმგებლობები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეფასება არის უწყვეტი პროცესი, ის უნდა ხორციელდებოდეს მუდმივად გარკვეული ციკლობით (მაგ. ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში).

შეფასება შეიძლება დავყოთ სამ ფაზად:



დაგეგმვის ფაზა

საწყის ფაზას, წარმოადგენს დაგეგმვა. ამ ფაზაში ხდება სწავლის შედეგების ფორმულირება ან უკვე არსებული შედეგების გადამოწმება/განახლება. დაგეგმვის ფაზა ასევე მოიცავს შეფასების მეთოდების/აქტივობების, ვადების და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა განისაზღვროს კონკრეტული მეთოდი, რომლითაც მოხდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება შედეგთან მიმართებაში. შესაბამისი მეთოდების შერჩევა გაზრდის მონაცემთა სანდოობას და პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის მათ გამოყენებადობას.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას შესაძლოა ჰქონდეს ბევრი სწავლის შედეგი, რეკომენდირებულია ფოკუსირება იმ მნიშვნელოვან სწავლის შედეგებზე, რაც არის პროგრამის გუნდის ან სხვა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ინტერესის საგანი.

პროგრამის ყველა სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ასევე შესაძლებელია სწავლის შედეგების პერიოდული მონაცვლეობით (ყოველწლიური, ორ წელიწადში ერთხელ და ა.შ), რაც განსხვავებული სწავლის შედეგების შეფასების და გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველა შედეგის დაფარვის საშუალებას იძლევა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვის ფაზაში მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ სასწავლო კურსის და პროგრამის შეფასების აქტივობები. სასწავლო კურსის დონეზე შეფასებები არის ვიწრო, დეტალური და ფოკუსირებულია კონკრეტული კურსის ცოდნასა და უნარებზე, ხოლო პროგრამის შეფასება არის გაცილებით უფრო ფართე და მოიცავს მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არ წარმოადგენს მხოლოდ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასებათა გაერთიანებას და მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება არა მხოლოდ ერთი სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასება, არამედ მთლიანად, პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება.

შეფასების ფაზა

შეფასების ფაზა მოიცავს შეფასების აქტივობების განხორციელებას, მიღებული მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს.

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განსხვავდება სასწავლო კურსებში სტუდენტთა შეფასებისგან (ქულების მინიჭებისგან). ცალკეულ სასწავლო კურსში ინდივიდუალური სტუდენტის მიერ მიღებული ქულა გვიჩვენებს კონკრეტულად ამ სტუდენტის მიღწევებს, ხოლო სასწავლო კურსის ფარგლებში ჯგუფის მიერ მიღებული შეფასებების შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კონკრეტულად ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიწევის დონე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვფოკუსირდებით კონკრეტული სასწავლო კურსის ცოდნასა და უნარებზე, და არა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებზე, რაც ხშირად სტუდენტისგან მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსებში მიღებული ცოდნის ინტეგრირებასა და გამოყენებას.

მეტი სიცხადისთვის, მაგ. კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა ან გუნდური მუშაობა შეიძლება ფასდებოდეს სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში, მაგრამ ამ უნარების როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შეიძლება დაგჭირდეს შეფასების სხვა მეთოდებიც, რაც მოგვცემს განსხვავებული ტიპის მონაცემების შეგროვებისა და შემდგომში მათი განზოგადების საშუალებას.

შესაბამისად, საურველია თითოეული სწავლის შედეგი ფასდებოდეს ერთზე მეტი მეთოდით, რადგან ეს ზრდის პროცესის საიმედოობას.

გაუმჯობესების ფაზა

სწავლის შედეგების შეფასების მთავარი მიზანი არის სტუდენტთა სწავლის გაუმჯობესება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამის მონიტორინგის გზით, შესაბამისად შეფასების შედეგების მიღების შემდეგ უნდა მოხდეს ამ შედეგების ანალიზი და პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებების/გზების დადგენა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში სასურველია ცხადად გაიწეროს ვის მიეწოდება შეფასების შედეგები, როდის და რა მიზნისთვის; და როგორ იქნება გამოყენებული შედეგები სტუდენტთა სწავლის გასაუმჯობესებლად.

შესაბამისად, ეს ფაზა არის შეფასების პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი. ამ ფაზის ფარგლებში ადმინისტრაცია და ლექტორები განიხილავენ მიღებულ შედეგებს და განსაზღვრავენ იმ ცვლილებებს, რომელთა განხორციელებაც საჭიროა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

განხილვების ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს სწავლის შედეგებზე, შეფასების მონაცემებზე და გაუმჯობესების შესაძლო გზებზე. გაუმჯობესების ფაზა ასევე მოიცავს

შეჯერებული ცვლილებების დანერგვასაც. გაუმჯობესება შეიძლება შეეხოს თავად შეფასების მეთოდებს და აქტივობებსაც.

კერძოდ, უნდა მოხდეს:

- მიღებული შედეგების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში:
 - ა) სწავლის შედეგების გადახედვა;
 - ბ) სასწავლო გეგმის, სწავლა/სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდების გადახედვა;
 - გ) განმანათლებელი პერსონალის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა;
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების გადახედვა და დადგენა საჭიროა თუ არა სხვა შეფასების მეთოდები უფრო მეტად გამოიხატოს და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად;
- გაუმჯობესებების იმპლემენტაციისთვის სამოქმედო გეგმის შედგენა და მისი შესრულების მონიტორინგის უზრუნველყოფა

სწავლის შედეგების შეფასებით მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია სხვა მიზნებისთვისაც, მაგ. საინფორმაციო ბიულეტენებისთვის, სხვა უნივერსიტეტებისთვის გამოცდილების გაზიარებისთვის, დამსაქმებლების ინფორმირებისთვის, გრანტების მოძიებისა და მიღებისთვის და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგება [საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა](#), რომელიც უნდა გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს შეფასების პროცესის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

დეპარტამენტი/სკოლა/ფაკულტეტი:
 პროგრამის დასახელება:
 პროგრამის მიზანი/მიზნები:

ნაწილი პირველი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და პროცედურები

პროგრამის სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები	მონაცემთა შეგროვება	სამიზნე ნიშნულები	შეფასების შედეგად მიღებული შედეგების განზოგადების და გაუმჯობესების გზები

შეფასების მეთოდები

შეფასების მეთოდი არის ხერხი, რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად თუ რამდენად არის მიღწეული სწავლის შედეგი. კონკრეტული სწავლის შედეგისთვის მნიშვნელოვანია სულ მცირე ერთი შესაფერისი მეთოდის შერჩევა. შეფასების მეთოდი შეიძლება იყოს: რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი, პირდაპირი ან/და არაპირდაპირი.

პირდაპირი მეთოდები უფრო მეტ რესურსს მოითხოვს, თუმცა, უფრო ავთენტური და სანდოა. ამიტომ, საჭიროა მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული შედეგებისთვის შევარჩიოთ შეფასების პირდაპირი მეთოდები. მეორეს მხრივ, არაპირდაპირი მეთოდები უფრო მარტივია, მაგრამ სწავლის შედეგების მიღწევის დასადასტურებლად ნაკლებად ობიექტური და სანდოა.

სწავლის შედეგების პირდაპირი მტკიცებულებების შესაგროვებლად მაქსიმალურად იქნას გამოყენებული სასწავლო კურსებში ჩაშენებული შეფასებები (არსებული დავალებები, რომლებსაც ვიყენებთ სტუდენტებისთვის ქულების დასაწერად). ამ შემთხვევაში, არ დგას სტუდენტთათვის დამატებითი დავალებების მიცემის საჭიროება, ისინი ჩვეულებრივ ასრულებენ სასწავლო კურსის მოთხოვნებს.

პირდაპირი მეთოდები

პირდაპირი მეთოდები დაფუძნებულია სტუდენტის მუშაობის, შესრულების ან ქცევის პირდაპირ შეფასებაზე. პირდაპირი შეფასების მეთოდები ზომავს სტუდენტთა ფაქტობრივ ცოდნას და არსებულ უნარებს; და არა მათ შეხედულებებს მათი ცოდნისა და უნარების შესახებ.

პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითები:

- ჩაშენებული დავალებები (პროექტები, ნაშრომები, პრეზენტაციები, წერილობითი ანაგარიშები და ა.შ) - ეს მეთოდი შეფასებისთვის იყენებს სასწავლო კურსებში არსებულ დავალებებს. კონკრეტულ დავალებაში სტუდენტისთვის ქულის მინიჭებასთან ერთად, ხდება იმ პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრაც რამდენმა სტუდენტმა მიაწვია სწავლის შედეგს;
- ტესტები და გამოცდები – ეს შეიძლება იყოს როგორც სასწავლო კურსების ფარგლებში შედგენილი, ასევე დაკვეთით შედგენილი ტესტები/გამოცდები, წინარე (pre) და შემდგომი (post) გამოცდები;
- შემაჯამებელი ან/და სპეციალობის გამოცდები, სამაგისტრო ნაშრომი ან პროექტი - ამ ტიპის გამოცდილება ეყრდნობა პროგრამის ფარგლებში მიღებულ ყველა ცოდნას, თეორიებს და უნარებს - სტუდენტს მოეთხოვება პროგრამის ფარგლებში მიღებული სხვადასხვა გამოცდილების კომბინირება. თუ სწავლის შედეგი არის, მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, შესაფერისი [რუბრიკა](#) შეიძლება შემუშავდეს რათა შეფასდეს რამდენად კარგად აღწევს სტუდენტი ამ შედეგს და ახდენს კრიტიკული აზროვნების დემონსტრირებას.
- სამუშაო ადგილზე ეფექტურობის შეფასება (პრაქტიკა ან/და სტაჟირება) – ეს შესაძლებელია იყოს ეფექტური გზა შეაფასო სტუდენტის პრაქტიკული ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სამუშაო კონტექსტში. პრაქტიკის ხელმძღვანელებს შეუძლიათ გამოიყენონ სპეციალურად შექმნილი შეფასების ფორმები და რუბრიკები, რათა შეაფასონ მაგ. ინტერპერსონალური, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების ან/და პრობლემის გადაჭრის უნარები;
- პორტფოლიო - პორტფოლიო არის ჩვეულებრივ სტუდენტების ნამუშევრების შერჩევითი შეგროვება, რაც ახდენს სტუდენტის პროგრესისა და მიღწევების დემონსტრირებას;
- შიდა და გარე კომისიების შეფასებები;
- რეგიონალური ან/და ეროვნული გამოცდები/ტესტები, მათ შორის სასერტიფიკატო გამოცდები, სალიცენზიო გამოცდები და ა.შ.;

არაპირდაპირი მეთოდები

არაპირდაპირი მეთოდები ჩვეულებრივ მოიცავს დაინტერესებული მხარეების აღქმას რამდენად კარგად აღწევს სტუდენტები სწავლის შედეგებს, და როგორც წესი უფრო სუბიექტურია. თუმცა, არაპირდაპირი შეფასების მეთოდები ხშირად უზრუნველყოფს ძალიან სასარგებლო ინფორმაციის გენერირებას სტუდენტთა სწავლის შესახებ.

არაპირდაპირი მეთოდების მაგალითები:

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვები ან ინტერვიუები – კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილების შესახებ;
- დამსაქმებლების გამოკითხვები ან ინტერვიუები – დამსაქმებლების კმაყოფილების დონის შეფასება კურსდამთავრებულთა და სტუდენტებით;
- სტუდენტთა გამოკითხვები ან ინტერვიუები – ერთ–ერთი საუკეთესო წყარო სტუდენტთა ხედვისა და მოსაზრებების დასადგენად. ეს შეიძლება იყოს, როგორც მიმდინარე, ასევე საბოლოო გამოკითხვები.
- გარე შეფასებები – კოლეგების მიერ პროგრამის ან სტუდენტთა ნამუშევრების შეფასება არის ერთ–ერთი მიღებული და ხშირად გამოყენებადი ფორმა. ამ გზით შესაძლებელია პროგრამისა და კურსდამთავრებულთა ხარისხის შედარება (ბენჩმარკი) გარე სტანდარტებთან.
- ფოკუს ჯგუფები
- დასაქმების და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლები
- პროგრამის დამთავრების ან / და სტატუსის შეჩერების / შეწყვეტის მაჩვენებლები
- სხვა (Peer) უნივერსიტეტებთან შედარება
- სამუშაო ადგილები, პოზიციები
- შემდეგ საფეხურზე აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები
- კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის და სხვა მიღწევების მაჩვენებლები (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე)

მონაცემთა შეგროვება

თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომელიც მოცემულია შეფასების გეგმაში უნდა მიეთითოს ამ შედეგის მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვების გზები, მაგ. როგორ, როდის და ვის მიერ უნდა შეგროვდეს მონაცემები. მონაცემთა შეგროვების ეტაპზე მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ჩართულ მხარეებს შორის და მათი პასუხისმგებლობების გადანაწილება. სწავლის შედეგების შეფასების აქტივობებისთვის გაწერილი კონკრეტული ინსტრუმენტები და ვადები უზრუნველყოფს მათ წარმატებით შესრულებას.

სამიზნე ნიშნულები

შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების სწორად ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის საჭიროა არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რითიც ფასდება პროგრამის ეფექტურობა სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით. კონკრეტული სამიზნე ნიშნულების გარეშე მონაცემთა შეგროვება აზრს კარგავს. ნიშნული განსაზღვრული და შეთანხმებული უნდა იყოს პროგრამის გუნდში, ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები. სასურველია მოხდეს შეფასების შედეგების შედარება შესაბამის შიდა/გარე სტანდარტებთან. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება რომ არ არის სავალდებულო სტუდენტების 100%-მა მიაღწიოს სწავლის შედეგებს – ყოველთვის იარსებებს გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა მიღების სტუდენტების შორის. არსებობს ძირითადად ორი სახის სამიზნე ნიშნული:

პირველი

სტუდენტების შედარება სხვა ჯგუფებთან ან პოპულაციებთან. ამ ტიპის სამიზნე ნიშნული გამოიყენება, როდესაც არსებობს დარგში დადგენილი შეფასების ინსტრუმენტი. ამ ტიპის ინსტრუმენტი ხშირად შექმნილია რეგიონალურ ან ეროვნულ დონეზე და გამოიყენება სხვა ინსტიტუტებშიც ან სერტიფიკატების მისაღებად (სასერტიფიკატო გამოცდები). მაგ. კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი ეროვნულ გამოცდებზე უნდა იყოს საშუალო ან საშუალოზე მაღალი.

მეორე

სტუდენტების შესრულების მაჩვენებლის შედარება შესრულების კონკრეტულ დონესთან კონკრეტული სწავლის შედეგისთვის. სტუდენტთა შესრულებიდან გამომდინარე კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ხდება პროცენტული მაჩვენებლის შერჩევა, რომელიც გვიჩვენებს სწავლის შედეგის მიღწევას, მაგ. კურსდამთავრებულების 70% შემდეგს ეფექტურ კომუნიკაციას

ადმინისტრაციისა და ლექტორების მსჯელობის შედეგად უნდა განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგისთვის მინიმალური ზღვარი - რიცხვი, რომელიც ასახავს სწავლის შედეგის მიღწევის სასურველ დონეს. ცხადია, ეს არ არის ფიქსირებული მაჩვენებელი, ის შეიძლება იცვლებოდეს შესრულების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით და შეიძლება იყოს განსხვავებული სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ტიპების მიხედვით.

მინიმალური ზღვრის დასადგენად შესაძლებელია არსებული მონაცემების გამოყენება და მათზე დაყრდნობით საბაზისო სამიზნე ნიშნულის შერჩევა, რომელსაც შედარდება შემდეგი შესრულებები. სამიზნე ნიშნულის შესარჩევად შესაძლებელია ასევე, სხვა მსგავსი ტიპის პროგრამის ნიშნულის გამოყენება.

სამიზნე ნიშნულის შერჩევის რა მეთოდსაც არ უნდა იყენებდეს პროგრამა, მნიშვნელოვანია შერჩეული მაჩვენებელი (რიცხვი) იყოს პროგრამისთვის და მისი სწავლის შედეგებისთვის მიზანშეწონილი.

რუბრიკები

ხშირად, მხოლოდ ქულები არ გვამძლევენ სტუდენტის შესრულების შესახებ ამომწურავ უკუკავშირს. თუმცა, თუ ქულები შეესაბამება რუბრიკებს, ის შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს სტუდენტის ძლიერი და სუსტი შესრულების იდენტიფიცირებისთვის. რუბრიკას რეკომენდირებულია ჰქონდეს 3–დან 5 დონემდე.

რუბრიკების ტიპები

ჰოლისტიკური რუბრიკა - იძლევა სტუდენტის სწავლის მაჩვენებლებზე ზოგად ინფორმაციას. ის აკეთებს შესრულების მთლიანი მაჩვენებლების ანალიზს და ადგენს შესაბამისობას შესრულების დონესთან.

მაგ. გუნდში ეფექტური მუშაობა

არასაკმარისი/არა დამაკმაყოფილებელი	გასავითარებელი	დამაკმაყოფილებელი	სანიმუშო
<ul style="list-style-type: none"> • არ აგროვებს თემასთან დაკავშირებულ არანაირ ინფორმაციას • არ ასრულებს გუნდის ფარგლებში განაწილებულ არანაირ სამუშაოს • ყოველთვის დამოკიდებულია სხვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე • ყოველთვის თავად ლაპარაკობს და არ აცლის არავის ლაპარაკს 	<ul style="list-style-type: none"> • აგროვებს თემასთან დაკავშირებულ გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ არასაკმარისს • არათანმიმდევრულად ასრულებს გუნდის ფარგლებში განაწილებულ სამუშაოს • იშვიათად ასრულებს დავალებს, ხშირად საჭიროებს შეხსენებას • ჩვეულებრივ ლაპარაკობს თავად და არ აცლის სხვებს ლაპარაკს 	<ul style="list-style-type: none"> • აგროვებს თემასთან დაკავშირებულ საბაზისო ინფორმაციას • ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს • ჩვეულებრივ ასრულებს დავალებს, იშვიათად საჭიროებს შეხსენებას • დიდი დროის განმავლობაში ისმენს 	<ul style="list-style-type: none"> • აგროვებს ინფორმაციის საკმაოდ დიდ მოცულობას, რომელიც სცდება საბაზისოს • ასრულებს მისთვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას და აქტიურად ეხმარება სხვებს • ასრულებს დავალებებს ყოველგვარი შეხსენებების გარეშე • თანმიმდევრულად ისმენს და ეხმაურება სხვებს შესაბამისად

ანალიტიკური რუბრიკა - ფოკუსირდება სტუდენტის შესრულების კონკრეტულ მიმართულებებზე, რაც უკავშირდება შესრულების ინდიკატორებს. მიმართულებები მოცემულია ცალკეულ კატეგორიებში და შეფასებულია ინდივიდუალურად. თითოეული შესრულების ინდიკატორი შეფასებულია დამოუკიდებლად. ანალიტიკური რუბრიკა უზრუნველყოფს სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, გვაძლევს დეტალურ უკუკავშირს პროგრამის გასავითარებლად, სასარგებლოა აბსტრაქტული თეორიებისა და პროცესების შეფასებისთვის, უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თვითშეფასების (გაცნობიერებასა და შესრულებაზე) შესაძლებლობის მიცემას

მაგ. გუნდში ეფექტური მუშაობა

	არასაკმარისი/არა დამაკმაყოფილებელი	გასავითარებელი	დამაკმაყოფილებელი	სანიმუშო
კვლევა და ინფორმაციის მოძიება	არ აგროვებს თემასთან დაკავშირებულ არანაირ ინფორმაციას	აგროვებს თემასთან დაკავშირებულ გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ არასაკმარისს	აგროვებს თემასთან დაკავშირებულ საბაზისო ინფორმაციას	აგროვებს ინფორმაციის საკმაოდ დიდ მოცულობას, რომელიც სცდება საბაზისოს
გუნდში როლთან შესაბამისობა	არ ასრულებს გუნდის ფარგლებში განაწილებულ არანაირ სამუშაოს	არათანმიმდევრულად ასრულებს გუნდის ფარგლებში განაწილებულ სამუშაოს	ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს	ასრულებს მისთვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას და აქტიურად ეხმარება სხვებს
გუნდური სამუშაოს გაზიარება	ყოველთვის დამოკიდებულია სხვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე	იშვიათად ასრულებს დაკისრებულ დავალებას, ხშირად საჭიროებს შეხსენებას	ჩვეულებრივ ასრულებს დაკისრებულ დავალებებს, იშვიათად საჭიროებს შეხსენებას	ასრულებს დავალებებს ყოველგვარი შეხსენებების გარეშე
გუნდის სხვა წევრების მოსმენა	ყოველთვის თავად ლაპარაკობს და არ აცლის არავის ლაპარაკს	ჩვეულებრივ ლაპარაკობს თავად და არ აცლის სხვებს ლაპარაკს	დიდი დროის განმავლობაში ისმენს	თანმიმდევრულად ისმენს და ეხმარება სხვებს შესაბამისად